

სს „საქართველოს რკინიგზას“  
შპს „ვაგონშენებელი კომპანიის“ შეთავაზება  
2015 წლის 09 დეკემბერს გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაზე  
(45 ელმავლის მიწოდება)

ქ. თბილისი  
30.12.2015 წელი



სს „საქართველოს რკინიგზას“  
შპს „ვაგონმშენებელი კომპანიის“ შეთავაზება  
2015 წლის 09 დეკემბერს გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაზე  
(45 ელმავლის მიწოდება)

შპს „ვაგონმშენებელი კომპანია“ აცხადებს, რომ სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ მასთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში უზრუნველყოფს 2015 წლის 9 დეკემბერს გამოქვეყნებულ „განაცხადი ინტერესთა გამოხატვაში“ და მის დანართებში დაფიქსირებული ყველა პირობის დაკმაყოფილებას და სს „საქართველოს რკინიგზისათვის“ შესაბამისი ელმავლების მიწოდებას.

დასახელებულ პროექტში შპს „ვაგონმშენებელი კომპანიის“ პარტნიორები არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში არსებული ელმავლების მწარმოებელი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქარხანა - Dalian Locomotive & Rolling Stock Co., Ltd. CNR Group.


პროექტის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ჩინეთში მოღვაწე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფინანსური ჯგუფი - Xuan Yuan Industrial Development CO., Ltd.

წინამდებარე პროექტის ფარგლებში საკრედიტო ხაზი გამოიყოფა მსოფლიოს აქტივების სიდიდით მე-5 ადგილზე მყოფი ბანკის – Bank of China-ს მიერ. მოთხოვნისამებრ ბანკის სუვერენული საკრედიტო რეიტინგი სამივე სარეიტინგო სააგენტოს შეფასებით გახლავთ A კატეგორიის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

შპს „ვაგონმშენებელი კომპანია“ იღებს ვალდებულებას, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 თვის განმავლობაში მიაწოდოს სს „საქართველოს რკინიგზას“ „ტექნიკური დავალების“ შესაბამისად დამზადებული ერთი ერთეული ელმავალი, რაზედაც მხარეები გააფორმებენ მიღება-გადაცემის აქტს.

შპს „ვაგონმშენებელი კომპანია“ აცხადებს მზაობას მიღება-გადაცემის აქტის გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ განხორციელდეს მიწოდებული ელმავლის ექსპლუატაცია, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საქონლის/ნივთის არ დაწუნების შემთხვევაში, შპს „ვაგონმშენებელი კომპანია“ იღებს ვალდებულებას სს „საქართველოს რკინიგზას“, მომდევნო 7 წლის განმავლობაში, მიაწოდოს დანარჩენი 44 ელმავალი, მაგრამ წლის განმავლობაში არანაკლებ 5 და არაუმეტეს 7 ერთეულისა, რაზედაც გაფორმდება დამატებითი შეთანხმება.




საქონლის/ნივთის დაწუნების შემთხვევაში მხარეები მოვალენი არიან დაუბრუნონ ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს. ამასთან, სს „საქართველოს რკინიგზა“ ვალდებულია დაწუნების კონკრეტული დასაბუთებული მიზეზების შესახებ ამგარი გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში წერილობით აცნობოს შპს „ვაგონმშენებელ კომპანიას“.

სს „საქართველოს რკინიგზა“ უფლებამოსილია საქონლის/ნივთის მოწონების შემთხვევაშიც კი, შესაბამისი დამატებითი შეთანხმების გაფორმებამდე, შეწყვიტოს შესყიდვა.

საქონლის მოწონების შემთხვევაში დანარჩენი 44 ერთეული ელმავლის მიწოდება განხორციელდება საქართველოში მისი ნაწილობრივი წარმოების პირობით. კერძოდ, ელმავლის წარმოებისათვის საჭირო თვითღირებულების არანაკლებ 50 %-ის ხარჯი გაწეული იქნება საქართველოში; თუმცა შპს „ვაგონმშენებელი კომპანიას“ დამუშავებული აქვს პროექტს, რომლის მიხედვითაც მომავალში შესაძლებელი გახდება ელმავლის წარმოებისათვის საჭირო თვითღირებულების არანაკლებ 70%-ის ხარჯი გაწეული იქნეს საქართველოში. აღნიშნული ხარჯის დადასტურება განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის N360 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ-ერთი აუდიტორული კომპანიის მიერ, რომლის ხარჯებსაც გაიღებს შპს „ვაგონმშენებელი კომპანია“.

პრეტენდენტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პროექტის ფინანსური მხარდაჭერისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება, რაც გულისხმობს შემდეგს: წარმოადგინოს იქნება საბანკო დაწესებულების (შემდგომში - ბანკი) მიერ გაცემული განცხადება, რომლის მიხედვითაც ბანკი იღებს ვალდებულებას გამოუყოს სს „საქართველოს რკინიგზას“ მრავალწლიანი (არანაკლებ 10 წელი) საკრედიტო ხაზი, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი ბანკთან კონკრეტული მოლაპარაკების შემდეგ იქნება 3%-დან 5%-მდე და რომლის უზრუნველსაყოფადაც შესაძლოა მხოლოდ გამოყენებულ იქნას დამზადებულ ელმავლებზე გირავნობის უფლება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-285<sup>1</sup> მუხლების შესაბამისად).

საკრედიტო ხელშეკრულება შესაბამისობაში იქნება სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გამოშვებული ევრო-ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული „ნეგატიური გირაოს“ ვალდებულებასთან, რომლის მიხედვითაც, მანამ, სანამ ევროობლიგაციები გამოშვებულია სს „საქართველოს რკინიგზა“ ვალდებულია არ შექმნას ან წარმოშვას და უზრუნველყოს, რომ მისი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანი(ებ)ი არ შექმნიან ან წარმოშობენ ნებისმიერი სახის გირავნობას, გადასახდელს, გირაოს, ყადაღას ან სხვა სახის უფლებრივ ტვირთს ან უზრუნველყოფის საშუალებას მის ყველა ან ნებისმიერ, დღეისათვის არსებულ ან სამომავლო ვალდებულებაზე, აქტივებზე ან შემოსავლებზე, ნებისმიერი ვალდებულების/დავალიანების უზრუნველყოფად, (გარდა „ნებადართული



უზრუნველყოფის საშუალებისა“, რაც მოიცავს ისეთ უზრუნველყოფის საშუალებას, რომელიც გამიზნულია აქტივების შეძენისათვის ფინანსური რესურსების მოზიდვისათვის და რომელიც ითვალისწინებს ასეთი ფინანსური რესურსებით შესაძენი აქტივების უფლებრივად დატვირთვას) გარდა იმ შემთხვევისა თუ, იმავდროულად ან მანამდე, სს „საქართველოს რკინიგზის“ ვალდებულებები ევროობლიგაციების ფარგლებში: (ი) უზრუნველყოფილი იქნება თანაბრად და იგივე ხარისხით ან ისარგებლებს არსებითად იგივე პირობების მქონე უზრუნველყოფით, ან (იი) ასეთი უზრუნველყოფა, გარანტია ან სხვა უზრუნველყოფის საშუალება/ღონისძიება, შეთანხმებული იქნება ევროობლიგაციების მფლობელთა „განსაკუთრებული გადაწყვეტილებით“.

შესაბამის სასესხო ვალდებულებაზე თანხმობის აღებას უზრუნველყოფს სს „საქართველოს რკინიგზა“.

ბანკის (Bank of China) სუვერენული საკრედიტო რეიტინგი Fitch Ratings, Standard & Poors და Moody's სარეიტინგო კომპანიის შეფასებით გახლავთ A კატეგორიის.

შპს „ვაგონმშენებელი კომპანია“ იღებს ვალდებულებას მიაწოდოს სს „საქართველოს რკინიგზას“ შემდეგი მახასიათებლების მქონე ელმავალი:

შეთავაზებული ელმავლის დასახელება: CKE-CBC;

მწარმოებელი ქარხნის დასახელება: Dalian Locomotive & Rolling Stock Co., Ltd. CNR Group.;

**1. დასახელება და გამოყენების არეალი**

მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავლის დანიშნულებათ, საქართველოს 1520 მმ ლიანდის, 3 კვ ძაბვის მუდმივი დენით ელექტროფიცირებულ რკინიგზებზე, სატვირთო მატარებლების წვეის უზრუნველყოფა.


**2. მიწოდების ადგილი და ვადები**

ქ. თბილისი, სალოკომოტივო დეპო თბილისი-მახარისხებელი (მიმდებარე სადგური თბილისი-მახარისხებელი).

**3. ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები**

3.1. ელმავლის ტექნიკური პირობები და მახასიათებლები იქნება 2014 წლის 15 აგვისტოს რედაქციით სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ დამტკიცებული და „ПКБ ЦТ“-სთან შეთანხმებული „Электровоз магистральный постоянного тока грузовой для Грузии“ ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში (ტექნიკური მოთხოვნები თან ერთვის). აღნიშნულ პუნქტებში შემდეგი ცვლილებების გათვალისწინებით.

3.1.12. პუნქტში სიტყვები – „Цветовое оформление должно соответствовать ГОСТ 12.2.056 с дополнением по “Альбому цветных эталонов и эмалей для наружного и” внутреннего



оформления локомотивов” (1985 г.)“ შეიცვალოს – «цветового оформления электровоза, должно быть согласовано с заказчиком“.

6.3.10.1. პუნქტში სიტყვები - „рассчитанным на использование тяговых двигателей с максимальной частотой вращения ротора 3000 об/мин., შეიცვალოს - „рассчитанным на использование максимальной частотой вращения ротора тяговых двигателей,,

თავი 6.4.-ს დაემატოს 6.4.15. პუნქტი - Допускается применение цельнокатанных колесных пар, изготовленные в соответствии с ГОСТ-ом 10791-11.


8.1.2. 8.1.3. 9.1.25 და 10.6. პუნქტებში ტემპერატურის ქვედა ზღვარი მიღებულ იქნას მინუს 40°C.

3.2. ელმავალი იქნება აშენებული არაუადრეს 2015 წლისა, არ იქნება ნამყოფი ექსპლუატაციაში და არ იქნება დარღვეული შენახვის ვადები და პირობები.

3.3. ელმავლის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები შეესაბამება ტექნიკური დავალების 3.1 ცხრილში მოყვანილ მონაცემებს, კერძოდ:

შეთავაზებული ელმავლის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები:

პარამეტრების დასახელება	მნიშვნელობა
დენმიმღებზე მოსული მუდმივი დენის ნომინალური ძაბვა, კვ	3,0
ლიანდის ნომინალური სიგანე, მმ	1520
ღერძული ფორმულა	2x(2o – 2o)
წყვილთვალის ნომინალური სტატიკური დაწოლა რელსზე, კილონიუტონი	245
ტონაძალა	25
სამომსახურეო მასა, სილის 0,7 წილის მარაგით, ტ	2 x 100
ხანგრძლივი რეჟიმის სიჩქარე, კმ/სთ	55
წყვილთვლებს შორისი დაწოლის სხვაობა (ერთი წყვილთვალისთვის), %, არაუმეტეს	4
(ერთი ურიკისთვის), %, არაუმეტეს	3
(ელმავლის სექციის გვერდებს შორის), %, არაუმეტეს	3
წყვილთვალის ნომინალური დიამეტრი არტახის გორვის ზედაპირზე, მმ	1250
სიმაღლე რელსის თავიდან ავტოსაბმელის ღერძამდე ახალი არტახების დროს, მმ	1060
სატრაქციონო ლიანდაგებზე, 10 კმ/სთ სიჩქარით გავლისას მრუდის მინიმალური რადიუსი, მ	125
კონსტრუქციული (მაქსიმალური ექსპლუატაციაში) სიჩქარე, კმ/სთ	120
კონსტრუქციული სიჩქარე სავალი ნაწილის მიხედვით, კმ/სთ	132
წვეის ძრავის ღერძზე მოსული ხანგრძლივი რეჟიმის	8400



საქართველოს რკინიგზის სახელმწიფო საწარმო

საგარეო ურთიერთობების განყოფილება

სიმძლავრე, კვტ, არანაკლებ		
სიმაღლე რელსის თავიდან დენმიმღების მცოცის მუშა ზედაპირამდე: - დაშვებულ მდგომარეობაში, მმ, არაუმეტეს - მუშა მდგომარეობაში, მმ	5100 5500 – 7000	
ხანგრძლივი რეჟიმის წევის ძალა 45 კმ/სთ სიჩქარის დროს, კილონიუტონი, არანაკლებ	500	
წევის ამძრავის ტიპი	ასინქრონული	
ხანგრძლივი რეჟიმის მარგი ქმედების კოეფიციენტი, %, არანაკლებ	86**	
დამვრისას მაქსიმალური წევის ძალა, კილონიუტონი, არანაკლებ	760	
მაქსიმალური სიმძლავრე (დამხმარე დატვირთვების გათვალისწინებით), კვტ, არანაკლებ	8400	
საათური რეჟიმის დენი ერთ დენმიმღებზე, ამ, არაუმეტეს	3200	
წევის ძრავის ღერძზე მოსული ელექტრული მუხრუჭის სიმძლავრე: - რეკოპერაციული, კვტ, არანაკლებ - რეოსტატული, კვტ, არანაკლებ	2x3800 2x2800	

შენიშვნა ცხრილთან:


\* ელმავლის წევის ძალისა და სიმძლავრის მნიშვნელობების რეალიზაცია წყვილთვალის ფერსოზე, შესაძლებელია შემდეგი პირობების დაცვის შემთხვევაში:

- უპირაპირო ლიანდაგი, რკინაბეტონის განძელები, ღორღის ბალასტი, „რ65“ ტიპის ახალი რელსები, რელსის თავებს შორის ლიანდის სიგანე 1520±2 მმ, გზის ნულოვანი გეგმა და პროფილი, მშრალი ამინდი, 20°C გარემო ტემპერატურა, სილის მიწოდება, უცვეთი არტახები;
- დენმიმღებზე 3 კვ ნომინალური ძაბვა.

\*\* ელმავლის ხანგრძლივი რეჟიმის მარგი ქმედების კოეფიციენტი (მქკ) ნაჩვენებია შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- საკონტაქტო ქსელში ძაბვა არანაკლებ 3,0 კვ;
- გათიშული კომპრესორები;
- გათიშული მოწყობილობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სალოკომოტივო ბრიგადის კომფორტს;
- 20°C გარემო ტემპერატურა;
- წევის გარდამსახების გამაგრებელი სისტემების, წევის ძრავების, ქსელური რეაქტორებისა და სხვა ძალური მოწყობილობის იმ წარმადობით მუშაობისას, რომელიც საჭიროა მოწყობილობების, ტექნიკური დოკუმენტაციით დადგენილი, ტემპერატურული რეჟიმის ნორმების ფარგლებში;
- წყვილთვალის დიამეტრი გორვის ზედაპირზე 1250 მმ;
- 80 კმ/სთ სიჩქარე;
- გამორთული სამუხრუჭო რეზისტორები და მისი ვენტილიატორები.

#### 4. კომპლექტაცია



4.1. მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავალი.

4.2. ელმავალზე იქნება მწარმოებელი ქარხნის მიერ მოწოდებული ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად: ჯგუფური ЗИП-ი, ინსტრუმენტები, სახარჯი მასალა.

4.3. ტექნიკური დოკუმენტაცია და დამადასტურებელი დოკუმენტები 2014 წლის 15 აგვისტოს რედაქციით სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ დამტკიცებული და „ПКБ ЦТ“-სთან შეთანხმებული „Электровоз магистральный постоянного тока грузовой для Грузии“ ტექნიკურ მოთხოვნების შესაბამისად.

4.4. მიმდინარე რემონტებისა და ტექნიკური დათვალიერებისათვის აუცილებელი მოწყობილობებისა და მასალების ჩამონათვალი საბაზრო ფასების მითითებით.

4.5. მიმდინარე რემონტებისა და ტექნიკური დათვალიერების ტექნოლოგიური რუქები.

## 5. მიღების წესი და რიგი

5.1. შუალედური გასინჯვის აქტი შედგება მწარმოებელ ქარხანაში სს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენლის მონაწილეობით.

5.2. საქონლის მიღება განხორციელდება საცდელი გარბენის ჩატარების შემდგომ, რომელიც ჩატარდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული პროგრამის შესაბამისად. საცდელი გარბენი ჩატარდება სს „საქართველოს რკინიგზის“ ლიანდაგებზე მიმწოდებლის მონაწილეობით. საცდელი გარბენის ჩატარების ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი. ვინაიდან არ არსებობს კონკრეტული ინსტრუქცია, შემდგომი გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, გთხოვთ, დააკონკრეტოთ მაქსიმუმ რა მანძილზე უნდა გამოიცადოს ელმავალი და ასევე გთხოვთ, მიუთითოთ გამოცდისათვის საჭირო თანხების ზღვრული ოდენობები.

## 6. საგარანტიო ვალდებულებები

6.1. ელმავლისა და მისი მოწყობილობების საგარანტიო ვადა განისაზღვრება არანაკლებ 5 წლის ვადით;

6.2. 3 წლის განმავლობაში, უზრუნველყოფილი იქნება ელმავლის სერვისული მომსახურეობა, სახარჯი მასალების გათვალისწინებით (ტექნიკური მომსახურეობისა და რემონტის ციკლის შესაბამისად), ასევე სერვისული მომსახურეობის ორგანიზების გათვალისწინებით სალოკომოტივო დეპოს დონეზე საჭირო აღჭურვილობის ჩათვლით.

6.3. ექსპლუატაციაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში, ელმავალმა ორივე მხარის მონაწილეობით, უნდა გაიაროს ვერიფიკაცია (გაცხადებული ტექნიკური პარამეტრების დადასტურება) და შედგეს ტექნიკური დასკვნა, მხარეებს შორის შეთანხმებული პროცედურების შესაბამისად;

6.4. პუნქტი 6.3.-ის შესაბამისად საქართველოს რკინიგზის მხრიდან პროდუქციის (ელმავლის) დაწუნების შემთხვევაში (რაზეც უნდა შეადგინოს დასაბუთებული წერილობითი დოკუმენტი, დაწუნების შესაბამისი მიზეზების ჩამონათვალით) მხარეები ვალდებული არიან დაუბრუნონ ერთმანეთს ის რაც მიღებული ჰქონდათ ხელშეკრულების შესაბამისად;



- 6.5. საგარანტიო ვადის ათვლა დაიწყება ელმავლის ექსპლუატაციაში გაშვების დღიდან;
- 6.6. საგარანტიო ვადის მოქმედების განმავლობაში, (ტექნოლოგიური წუნით) ელმავლის დაზიანებით გამოწვეული მოცდენისას, ერთი დღე-ღამის ვადაში, მხარეების წარმოადგენლების მონაწილეობით, დგება სარეკლამაციო აქტი.
- 6.7. სარეკლამაციო აქტში დაფიქსირებული დეფექტების გამო ელმავლის გაჩერების (სარეკლამაციო აქტის ხელმოწერის) დღიდან, დეფექტების აღმოფხვრის დღემდე, მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია თვითოეულ გადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულებით ერთ ელმავალზე გათვალისწინებული ღირებულების 0,001%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ღირებულების 1%-ისა.
- 6.8. საგარანტიო ვადაში მიმწოდებლის ბრალეულობით წარმოქმნილი დეფექტის შემთხვევაში, საგარანტიო პერიოდი ხანგრძლივდება დეფექტის აღმოფხვრისათვის საჭირო დროით.
- 6.9. წინამდებარე საგარანტიო პირობები ვრცელდება მხოლოდ რკინიგზის მიერ ელმავლის ექსპლუატაციის წესების სრულად დაცვის შემთხვევაში.  
ამასთან, რკინიგზა ვერიფიკაციის პროცესში ვალდებულია სრულად დაიცვას ელმავლის ექსპლუატაციის წესები.

## 7. პერსონალის სწავლება

7.1. ელმავლის შემდგომი ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ჩასატარებლად, მომსახურე პერსონალმა უნდა გაიაროს სწავლება, მეთოდური თეორიული და პრაქტიკული ინსტრუქტაჟები. სწავლების დამთავრებაზე გაიცემა დამადასტურებელი დოკუმენტი. სწავლება ჩატარდება რუსულ ან ქართულ ენაზე. სწავლების თანხას ანაზღაურებს მიმწოდებელი.

### პროექტის სოციალური ასპექტები:

შპს „ვაგონმშენებელი კომპანია“ აცნობიერებს რა პროექტის დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, ასევე სახელმწიფოს მისწრაფებას დასახელებულ პროექტში ხელი შეუწყოს საქართველოში ადგილობრივი წარმოების წახალისებას, რაც პირველ რიგში სოციალური მდგომარეობის ამაღლებისაკენ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, თავის მხრივ, გამოვთქვამთ მზაობას:

1. აღნიშნულ პროექტში შპს „ვაგონმშენებელი კომპანიის“ გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი კომპანია იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს რეალიზებული ელმავლების სრული (ყველა სახის) მომსახურებისათვის საქართველოში შესაბამისი ლიცენზირებული სერვის ცენტრის მოწყობა. შესაბამისად, სს „საქართველოს რკინიგზას“ არ მოუწევს აღნიშნული ელმავლების სხვადასხვა სახის ვადიანი შეკეთებისათვის მათი სხვა ქვეყანაში ტრანსპორტირება, რაც სერიოზულად დაზოგავს თქვენი კომპანიის ხარჯებს; ამასთან, ელმავლების შემდგომი მომსახურებისათვის







მიმდინარეობის განმავლობაში ჩვენი შერჩევით დავაფინანსოთ ერთ-ერთი სპორტის სახეობაში საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი გუნდი.

8. ვიღებთ ვალდებულებას, ქარხნის ტერიტორიაზე ვუზრუნველყოთ უფასო მინი სპორტული მოედნის მოწყობა, რაც შესაბამისი სპორტის განვითარება-პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს;
9. გვსურს რა ჩვენი წვლილის შეტანა ქვეყნის ეკოლოგიური გაჯანსაღების კუთხით, გამოვთქვამთ მზაობას ვუზრუნველყოთ ქარხნის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ევროპული სტანდარტების შესაბამისად გამწვანება.

**შპს „ვაგონმშენებელი კომპანიის“ უპირატესობები:**

შპს „ვაგონმშენებელი კომპანია“ გახლავთ უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებული წარმოება. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ვართ ერთადერთი ქარხანა, რომელმაც არათუ მოახერხა წარმოების სრული პროფილის შენარჩუნება, არამედ განვითარდა და აითვისა მოღვაწეობის სფეროს ყველა მიმართულება.


არამარტო ჩვენს პარტნიორს გააჩნია ISO-ს მოთხოვნილი სერტიფიკატი, არამედ თავად შპს „ვაგონმშენებელი კომპანია“ ფლობს სწორედ ამგვარი ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს (ISO 9001:2008);

შპს „ვაგონმშენებელი კომპანია“ მისი მოღვაწეობის პერიოდში უკვე აქვს გამოცდილება ჩინურ კომპანიასთან ერთობლივი პროექტის განხორციელების (ელექტრომატარებელი), რომლის ფარგლებშიც, ჯერ კიდევ 5 წლის წინ, საქართველოში შესრულებულმა სამუშაოებმა პროექტის სრული ოდენობის 30% შეადგინა.

შპს „ვაგონმშენებელი კომპანია“ გააჩნია სარკინიგზო სფეროში სერტიფიცირების დიდი გამოცდილება. დღეის მდგომარეობით ჩვენს კომპანიაზე გაცემულია აღნიშნულ სფეროში მოქმედი 125 სერტიფიკატი.

შევისწავლეთ შესაბამისი ბაზრები, ვვარაუდობთ 5 წლის განმავლობაში 100-მდე ერთეული ელმავლის სხვადასხვა ქვეყნის რკინიგზისათვის მიწოდებას.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მრავალი ათეული წელია ვართ სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის მშენებლობის სფეროში, ვფლობთ დიდი ფართის საწარმოო მოედნებს, გვყავს ამ სფეროში დიდი გამოცდილების მქონე პარტნიორ და გაგაჩნია, ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობები ცალსახად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ შევძლებთ წარმატებით განვახორციელოთ ინტერესთა გამოხატვაში დაფიქსირებული პროექტი.





დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელშიც ასევე ასახულია დადებითი  
გამოხმაურება მიწოდებული პროდუქციისადმი 1 ფურცელი;

9. "BANK OF CHINA"-ს წერილი 1 ფურცელი;
10. ლოკალიზაციის პირობები 1 ფურცელი;
11. პარტნიორების ერთობლივი წერილი 1 ფურცელი.

შპს „ვაგონმშენებელი კომპანიის“

გენერალური დირექტორი

გიორგი არეშიძე

